

# ჯორჯია ურბან ენერჯი



ფარავანის ჰიდროელექტროგენერაციის და  
ელექტროგადაცემის პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების  
ანგარიში

**გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამოქმედო გეგმა**

შემსრულებელი სკვ „გამა“

თბილისი, 2011

## 1. შესავალი

შპს ურბან ენერჯი საქართველო (GUE) Ltd., საქართველოს მათავრობასა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად ფარავანჰესის და ელექტროგადამცემი ხაზის (გფარავანჰესი-ახალციხე) მშენებლობაზე პრივილეგიურულ ინვესტორად განისაზღვრა. პროექტი ორ ეტაპად სრულდება:

- ჰიდროელექტროსადგურის (ჰესის) მშენებლობა, რაც მოცავს მდინარე ფარავანზე კაშხლის (წყამლების) მოწყობას მდ.ფარავნის და მდ.მტკვრის შესართავიდან დახლოებით 13კმ მანძილზე, ძალური კვანძის მშენებლობას მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ფარავნის და მტკვრის შესართავიდან 1.5.კმ დაშორებით. პროექტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ორ, ახალქალაქის (წყალამლები) და ასპინძის (ჰესის შენობა და ქვესადგური) მუნიციპალიტეტებში ;
- 32კმ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ჰესიდან სოფ.აგარას მახლობლად, სხვა პროექტის ფარგლებში მშენებარე, ქვესადგურამდე. პროექტის ეს ნაწილი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის ორ მუნიციპალიტეტს: ასპინძას (ჰესის/ქვესადგური და ეგხ დასაწყისი) და ახალციხეს (ეგხ-ს ბილი).

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, GUE-მ შეაფასა პროექტის ორივე კომპონენტის ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. შესაბამისად მომზადა ორი ბსგზშ-ს (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების) ანგარიში. ეს ანგარიშები, კუმულატიური ზემოქმედების გათვალისწინებით და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა შემუშავდა პროექტის დამფინანსებლების - ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მოთხოვნების შესაბამისად.

მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობის პროცესში და შემდგომ, ოპერირებისას, GUE განახორციელებს ბსგზშ-სას განსახდრული ზემოქმედებათა თავიდან ასაცილებელ, შესამცირებელ და კონტროლის ღონისძიებათა რიგს. ეს ღონისძიებები შეჯამებული ამ 'გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში'(ESAP). ESAP დამფინანსებლებსა და GUE-ს შორის დადებულ დაფინანსების შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს. მშენებლობის ეტაპზე და ექსპლუატაციისას კომპანია მიაწვდის მსესხებლებს აღნიშნული ღონისძიებების შესრულების ყოველწლიურ ანგარიშს, მსესხებელს შეუძლია შეამოწმოს შესაბამისობა.

ESAP წარმოადგენილია ქვემოთ მოცეული ცხრილის სახით. მასში განსაზღვრულია საჭირო ქმედებები, მათი განხორციელების საფუძველი და ეფექტურობის კრიტერიუმები. ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება GUE-ს პასუხისმგებლობას წარმოადგენს. კონტრაქტორის მიერ სამუშაოების შესრულების შემთხვევაში, GUE პასუხისმგებელია ESAP-ის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობაზე. ამ მიზნით ქვეკონტრაქტთან დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი იქნება შესაბამისი მოთხოვნა, გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, GUE გააკონტროლებს და განახორციელებს ზედამხედველობას.

მხარობის შეთანხმებით, პროექტის მსვლელობისას ეს გეგმა შეიძლება გადაისინჯოს. არცერთი ცვლილება არ დაუშვებს საქართველოს კანონმდებლობის ან EBRD და IFC გარემოსდაცვითი და სოციალური ქმედებების მოთხოვნების დარღვევას.

<b>ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა</b>				
<i>No.</i>	<i>საკითხი/ქმედება</i>	<i>მოთხოვნის საფუძველი</i>	<i>დასრულების თარიღი/შესრულების ვადა</i>	<i>წარმატებულობის საზომი</i>
0	გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ანგარიშების წარდგენა ამ გეგმის ყოველი ელემენტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.	EBRD, IFC	ექსვს თვეში ერთხელ მშენებლობის დროს, შემდგომ - წელიწადში ერთხელ.	ანგარიშის წარდგენა
<b>1. გარემოსდაცვითი და სოციალური დაგეგმვა</b>				
1.1	გარემოსდაცვის და სოციალური მენეჯმენტის სისტემის შემუშავება და შესრულება (ESMS)	EBRD PR 1 IFC PS 1	მშენებლობის ძირითადი პროცედურების (მაგ, შრომის უსაფრთხოების, აფეთქებითი სამუშაოების, ტრანსპორტის მენეჯმენტის, მარჩენების მართვის, მონიტორინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის) შემუშავება მშენებლობის დაწყებამდე. ოპერირების დაწყებამდე ოპერირების ფაზისთვის შესაბამისი პროცედურების შემუშავება.	- მშენებლობის მენეჯმენტის პროცედურების შემუშავება - ოპერირების ეტაპზე გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემის შემუშავება ESMS
1.2	ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო ადგილებზე მუდმივად ყოფნის უზრუნველყოფა. აღნიშნული პირი უშუალო კავშირში უნდა იყოს კომპანიის ცელმძღვანელობასთან.	EBRD PR 2 IFC PS 2	მშენებლობის და ექსპლუატაციის განმავლობაში	მშენებლობის ეტაპისთვის ჰანდაცვის და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უკვე დანიშნულია.  ოპერირების ეტაპისთვის პასუხისმგებელი განსაზღვრება GUE-ს მიერ ობიექტის ოპერირების დაწყებამდე.

<b>ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა</b>				
<i>No.</i>	<i>საკითხი/ქმედება</i>	<i>მოთხოვნის საფუძველი</i>	<i>დასრულების თარიღი/შესრულების ვადა</i>	<i>წარმატებულობის საზომი</i>
1.3	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გარემოსდაცვითი საკითხების მენეჯერის დანიშვნა. აღნიშნული პირი უშუალოდ ანგარიშვალდებული იქნება საიტ-მენეჯერის წინაშე და ექნება დამოუკიდებელი კონტაქტი კომპანიის ხელმძღვანელობასთან.	EBRD PR 1 IFC PS 1	მშენებლობის დაწყებამდე	მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე აღნიშნული პირის 'არსებობა'.
1.4	ობიექტზე მომუშავე ყველა კონტრაქტორს მოეთხოვება, მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოების მომდინარეობის პერიოდში იყოლიონ გარემოსდაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების (EHS) სათანადო კვალიფიკაციის მქონე მანეჯერები	EBRD ESP	საქმიანობის დაწყებამდე	შესაბამისის მუხლი კონტრაქტში. კვალიფიცირებული პერსონალი ადგილებზე.
1.5	მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების მართვისთვის - ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება	EBRD ESP EBRD PR 3	2011 (გარემოსდაცვა, ჯანდაცვა უსაფრთხოების საწყისი ანგარიშის მომზადებამდე)	ნარჩენების მართვა საწარმოველოს კანონმდებლობის და ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. ყოველწლიური მონაცემები ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შესახებ
1.6	გარემოსდაცვა, ჯანდაცვა უსაფრთხოების დამოუკიდებელი კონსულტანტის დანიშვნა გარემოსდაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმაში და ბსგზმ დოკუმენტაციაში განსაზღვრული საკვანძო EHS საკითხების პერიოდული 'გარე' მონიტორინგის ჩასატარებლად	EBRD PR 1 IFC PS 1	დანიშვნა პირველ გადახდამდე. მონიტორინგი ყოველ 6 თვეში ერთხელ მშენებლობის დროს და წელიწადში ერთხელ ოპერირების პირველი ორი წლის განმავლობაში. დამატებითი მონიტორინგის საჭიროება განისაზღვრება ძირითადი სავალდებულო მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე.	EHS მონიტორინგის 'გარე' ანგარიშები

ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა				
No.	საკითხი/ქმედება	მოთხოვნის საფუძველი	დასრულების თარიღი/შესრულების ვადა	წარმატებულობის საზომი
<b>2. სამუშაო და შრომის პირობები</b>				
2.1	საქართველოს კანონმდებლობის და EBRD და IFC მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსების პოლიტიკის და პროცედურების/სახელმძღვანელოს შემუშავება/განახლება ინგლისურ და ქართულ ენებზე (მსესხებლის მოთხოვნებსა და ნაციონალურ კანონმდებლობას შორის განსხვავებულობის შემთხვევაში, პრიორიტეტი საქართველოს კანონმდებლობას ენიჭება) .	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR 2 IFC PS 2	დაფინანსების გამოყოფიდან 3 თვის განმავლობაში	- დამფინანსებლის წარმომადგენლებისთვის HR პოლიტიკისა და პროცედურების განსახილველად გადაცემა - ყოველწლიურ EHS ანგარიშში მომუშავეებზე ინფორმაციის ჩართვა, დათხოვნებისა და სამუშაოზე აყვანის შესახებ, კოლექტიური ხელშეკრულებების დადების, სამედიცინო შემოწმებების მდგომარეობისა და სხვ. ჩათვლით
2.2	პოლიტიკისა და პროცედურების/სახელმძღვანელოს (2.1. ზემოთ) ან დაწვრილებითი რეზიუმეს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პერსონალისათვის მათ ენებზე			მასალების ხელმისაწვდომობა მუშებისათვის მათ ენებზე

ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა				
No.	საკითხი/კმედება	მოთხოვნის საფუძველი	დასრულების თარიღი/შესრულების ვადა	წარმატებულობის საზომი
2.3	<p>პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (OHS) გეგმის შემუშავება და დანერგვა საიტ(ებ)ზე ყველა სახის სამუშაოს ჩატარებისას, მუშაობის ყველა ფაზაზე სახელმძღვანელოდ. გასათვალისწინებელი (სხვათა შორის) მოთხოვნები :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- GUE-ს შესასრულებელ სამუშაოებისათვის სამუშაოებისთვის დამახასიათებელი რისკების ანალიზი და კონტროლი</li> <li>- ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა, მათი აუცილებლად გამოყენების მოთხოვნა და გამოყენება</li> <li>- მთელი პერსონალისათვის უსაფრთხოების ტრენინგები (მათთვის გასაგებ ენაზე)</li> <li>- კონტრაქტორის პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმების გადამოწმება მათი ნორმების GUE-ის გეგმის ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად</li> <li>- კონტრაქტორის მიერ OHS-ის დანერგვაზე ზედამხედველობა, სავალდებულო ანგარიშგების ჩათვლით</li> </ul>	BAT EBRD PR 2 IFC PS 2	GUE-ის გეგმა: თანხის პირველ ჩარიცხვამდე კონტრაქტორის გეგმა: საიტზე კონტრაქტორის სამუშაოების დაწყებამდე	<ul style="list-style-type: none"> <li>- GUE-ს გეგმის განსახილველად და მშენებლობის დაწყებამდე დასამტკიცებლად წარდგენა დამფინანსებელთან OHS-ის დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ</li> <li>- კონტრაქტორის OHS გეგმ(ებ)ის წარდგენა და GUE-ის OHS მენეჯერის მიერ დამტკიცება</li> <li>- ყოველწლიური ანგარიში OHS საკითხებზე, უბედურ შემთხვევათა სტატისტიკისა და ტრენინგების ჩათვლით ის (GUE-ისა და კონტრაქტორის მომუშავეებისათვის)</li> </ul>
2.4	OHS გეგმის ყოველწლიური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში - განახლება, კონტრაქტორისგან განახლებების ჩატარების მოთხოვნა	BAT	ყოველწლიურად	<ul style="list-style-type: none"> <li>- საჭიროებისამებრ განახლებული OHS გეგმა</li> <li>- ყოველწლიური ანგარიში</li> </ul>
2.5	პერსონალისა და კონტრაქტორებისთვის გასაჩივრების ოფიციალური მექანიზმის შემუშავება და მის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელება მომუშავეთა შორის (მუშახელის ენაზე)	EBRD PR 2	თანხის პირველ ჩარიცხვამდე	<ul style="list-style-type: none"> <li>- გასაჩივრების პროცედურის განსახილველად და დამტკიცებისთვის წარდგენა (პირველი EHS ანგარიშით 0 პუნქტის მიხედვით) დამფინანსებლის მიერ</li> <li>- მუშათა საჩივრების შესახებ ინფორმაციის შემცველი ყოველწლიური ანგარიში</li> </ul>

<b>ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა</b>				
<i>No.</i>	<i>საკითხი/ქმედება</i>	<i>მოთხოვნის საფუძველი</i>	<i>დასრულების თარიღი/შესრულების ვადა</i>	<i>წარმატებულობის საზომი</i>
2.6	კონტრაქტორის მართვის გეგმისა და პროცედურების შემუშავება კონტრაქტორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დამფინანსებლისა და საქართველოს შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან	EBRD PR 2 IFC PS 2	მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელ პერიოდში	კონტრაქტორის მიერ მოთხოვნების შესრულება
2.7	მოწყობა და მართვა მათი ადგილმდებარეობისათვის მისაღები სამშენებლო ბანაკებისა, რომლებიც დააკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობისა და EBRD PR2 მოთხოვნებს	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR 2	ნებისმიერ დროს, ბანაკების არსებობისას	- მოთხოვნების შესრულება - უბედურ შემთხვევათა შესახებ ყოველწლიური ანგარიშები
<b>3. დაბინძურების თავიდან აცილება და შემცირება</b>				
3.1	ეროზიის კონტროლის გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელიც მოიცავს საიტზე მიმდინარე ყველა სამუშაოებს (შეიძლება შემუშავებულ იქნას კონტრაქტორ(ებ)ის მიერ, მაგრამ განხილული და დამტკიცებული უნდა იქნას GUE-ის მიერ და განხორციელოს ყველა კონტრაქტორმა). განხილვა და გადამოწმება საჭიროებისამებრ	EBRD PR 3 IFC PS 3 მოწინავე გამოცდილება	გეგმა: მშენებლობის განხორციელებამდე; მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელ პერიოდში	EHS მენეჯერის მიერ დამტკიცება
3.2	საწვავის შესანახი ცისტერნის სატრანსპორტო გზისგან იზოლირება	EBRD PR 3 IFC PS 3 მოწინავე გამოცდილება	თანხის პირველ ჩარიცხვამდე და მშენებლობის მთელ პერიოდში	ცისტერნ(ებ)ის განლაგება გზას მოცილებულ განცალკევებულ ადგილას
3.3	ჰერმეტიკული კონტეინერის არსებობა, რომელიც დაიტევს, სულ მცირე, ცისტერნებში შენახული საწვავის სრულ მოცულობას		საწვავის შენახვისა და გასამართ უბნებზე დაღვრილი სითხეების მთლიანად შეკავება	
3.4	საწვავით გამართვის ოპერაციების განხორციელება და ქიმ. ნივთიერებების/გამხსნელების გამოყენება მხოლოდ წინაწარ გამზადებულ, გაუმტარ ზედაპირებზე		რა დროის განმავლობაშიც საიტზე შეინახება და გამოიყენება საწვავი და სხვა ქიმ. ნივთიერებები/გამხსნელები	არავითარი საწვავით გამართვა ან ზეთის/ქიმ. ნივთიერებების გამოყენება საიტის გარეთ

ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა				
No.	საკითხი/ქმედება	მოთხოვნის საფუძველი	დასრულების თარიღი/შესრულების ვადა	წარმატებულობის საზომი
3.5	<p>მზადყოფნა მცირე დაღვრების (საწვავი, სხვ.) მოსაწმენდად, რაც გულისხმობს (თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მოსაწმენდ საშუალებების კომპლექტს (შემწოვი მასალები, სხვ.), რომლებიც უნდა იყოს ყველა მანქანაში და მოწყობილობაზე ნებისმიერ დროს</li> <li>- მძღოლებისა და ტექნიკის ოპერატორების ტრენინგები, ასევე სხვების, ვინც იყენებს საწვავს, ზეთს, სხვა მავნე ნივთიერებებს</li> <li>- ყველა მანქანისა და ტექნიკის ერთეულის შემოწმება გაჟონვაზე მათ წყალში ან წყლის სიახლოვეში გამოყენებამდე</li> </ul>	EBRD PR 3 IFC PS 3 მოწინავე გამოცდილება	მშენებლობამდე	<ul style="list-style-type: none"> <li>- მოსაწმენდი საშუალებების არსებობა</li> <li>- მძღოლებისა და ოპერატორების ტრენინგების შესახებ ჩანაწერები</li> <li>- ყველა დაღვრის სასწრაფო მოწმენდა ყოველგვარი ნარჩენი დაბინძურების გარეშე</li> </ul>
3.6	გვირაბის გაყვანისა და სხვა ოპერაციების დროს ამოღებული გრუნტის შენახვა წინასწარ გამზადებულ, ოფიციალური პირების მიერ შერჩეულ ადგილას, და დაცულია ეროზიისაგან (განსაზღვრულ იქნას ეროზიის მართვის გეგმაში)	EBRD PR 3 IFC PS 3 მოწინავე გამოცდილება	გრუნტის ამოღებამდე	<ul style="list-style-type: none"> <li>- ნიადაგის ზედა ფენის 100%-ით შეგროვება და შენახვა შტაბელებად/უბნებზე</li> <li>- ამოღებული გრუნტის მაქსიმალური სარგებლით გამოყენება</li> <li>- ამოღებული გრუნტის გამოყენებასა და შენახვაზე ყოველწლიური ანგარიში</li> </ul>
3.7	რამდენადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამოღებული გრუნტი, ან სხვებს მიეცეს მისი გამოყენების საშუალება			
3.8	იმ ამოღებული გრუნტისთვის, რომელიც ვერ იქნება გამოყენებული საერთოდ ან გარკვეული დროის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნას ეროზიისაგან მუდმივი დაცვის სხვა გზა (განსაზღვრულ იქნას ეროზიის მართვის გეგმაში)		ამოღებული გრუნტის ყველა შტაბელისათვის, რომელიც არ იქნა გამოყენებული 30 დღის განმავლობაში	
3.9	ემისიათა შესამცირებლად მანქანების, ძრავების და სათადარიგო გენერატორების მომსახურება მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების თანახმად	EBRD PR 3 მოწინავე გამოცდილება	მშენებლობის მთელ პერიოდში	
3.10	მშრალ პერიოდებში მტვრის ემისიების მართვა წყლის ან სხვა მტვერდამჭერი საშუალებების გამოყენებით			



<b>ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა</b>				
<i>No.</i>	<i>საკითხი/ქმედება</i>	<i>მოთხოვნის საფუძველი</i>	<i>დასრულების თარიღი/შესრულების ვადა</i>	<i>წარმატებულობის საზომი</i>
3.11	მონიტორინგის პროგრამის განხორციელება ტურბინების ქვედა ბიეფში ჰესიდან მდინარე მტკვრამდე , როგორც ამას მოითხოვს საქართველოს რეგულაციები.	EBRD PR 3 IFC PS 3 მოწინავე გამოცდილება	როგორც ნებართვაშია მოთხოვნილი	ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიში
3.12	ყველა უბანზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და დამუშავება ჩაშვებამდე.		მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელ პერიოდში	ყოველწლიური ანგარიში
<b>4. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება</b>				
4.1	<ul style="list-style-type: none"> <li>- შემუშავდეს და დაინერგოს მექანიზმები საზოგადოების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს (მაგრამ არ შემოიფარგლება) :</li> <li>- ტრანსპორტის მოძრაობის მართვის გეგმას ყველა მძღოლისა და ოპერატორისათვის (ზღვრული სიჩქარეები, ტრენინგები და სხვ.)</li> <li>- ხალხის გაფრთხილება აფეთქებების შესახებ ხალხისთვის მისასვლელად ხელმისაწვდომი ადგილების სიახლოვეში</li> <li>- დაცულ უბნებზე შეღწევის აღკვეთის ზომები, დაცვის თანამშრომლებისთვის შესაბამისი ტრენინგები</li> <li>- ადგილობრივი მმართველობის და მაცხოვრებლების ინფორმირება გადამცემი ხაზის მშენებლობისა და შემდგომ - ოპერირების პერიოდში</li> <li>- გამაფრთხილებელი ნიშნები/წარწერები დენის ბოძებზე/ანძებზე</li> </ul>	EBRD PR 4 მოწინავე გამოცდილება	ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მშენებლობისა და მომსახურების მთელ პერიოდში	<ul style="list-style-type: none"> <li>- მარშრუტის გეგმის გადაცემა EBRD-სთვის EHS-ის პირველ ანგარიშთან ერთად, ფინანსების გამოყოფის შემდეგ</li> <li>- სატრანსპორტო მოძრაობის მართვის, უსაფრთხოების, სხვა ქმედებების - ყველა უბედური შემთხვევის ჩათვლით - შესახებ ყოველწლიური ანგარიში</li> </ul>
4.2	სათანადო წესების შემოღება და დაცვა სამშენებლო ბანაკებში მცხოვრებ მუშათა ქცევის კონტროლის მიზნით, რათა თავიდან იქნას კონფლიქტები მოსახლეობასთან	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR 2 IFC PS 2	მოწყობა: ბანაკების დაკავებამდე დაცვა: მშენებლობის მთელ პერიოდში	- წესებისა და მათი დაცვის შესახებ ყოველწლიური ანგარიში
4.3	რამდენადაც შესაძლებელია, ადგილობრივი მუშახელის და მენეჯერების დასაქმება - არსებული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად	EBRD PR 2	მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს	- EHS ანგარიშში ადგილობრივ, ქართველ და უცხოელ მუშათა და მენეჯერთა რიცხვის მოხსენიება

<b>ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა</b>				
<i>No.</i>	<i>საკითხი/ქმედება</i>	<i>მოთხოვნის საფუძველი</i>	<i>დასრულების თარიღი/შესრულების ვადა</i>	<i>წარმატებულობის საზომი</i>
<b>5. მიწის შესყიდვა და კომპენსაცია</b>				
5.1	დასრულდეს, გამოქვეყნდეს და განხორციელდეს დამფინანსებლის მიერ დამტკიცებული „მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის გეგმა“, რომელიც შეესაბამება საქართველოს, EBRD და IFC-ს მოთხოვნებს	საქართველოს კანონმდებლობა EBRD PR 5 IFC PS 5	გამოქვეყნდეს გადამცემი ხაზის მშენებლობამდე მინიმუმ 60 დღით ადრე	<ul style="list-style-type: none"> <li>- საჭირო მიწის ნაკვეთებზე უფლების მოპოვება ანძების და ეგზ საყრდენების საძირკვლების მოსაწყობად და გასხვისების ზოლისათვის საჭირო მიწის შესყიდვის გზით</li> <li>- საქართველოს კანონებთან სრული შესაბამისობა</li> <li>- EBRD-სადმი EHS-ის ანგარიშებში მიწის შესყიდვების და კომპენსაციების თაობაზე ინფორმაციის ჩართვა</li> </ul>
<b>6. ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია</b>				
6.1	შემუშავდეს და განხორციელდეს წყალამღების ქვედა დინებაში წყლის ხარჯის მონიტორინგის პროგრამა მინიმალური ბიოლოგიური ხარჯის შესანარჩუნებლად ფარავნის კალაპოტში კაშხლის ქვემოთ	საქართველოს მხარის ნებართვები EBRD PR 6 IFC PS 6 აღდგენის გეგმა (პუნქტი 6.4)	შემუშავება: კაშხლის/ჯებირის მოწყობამდე განხორციელება: კაშხლის/ჯებირის მოწყობის შემდეგ	<ul style="list-style-type: none"> <li>- მინიმალური ხარჯის დონის შენარჩუნება</li> <li>- ხარჯის მაჩვენებლებზე ინფორმაციის ჩართვა ყოველწლიურ ანგარიშებში</li> </ul>
6.2	მდინარე ფარავანში თევზის და წყლის ჰაბიტატების მდგომარეობის და წყლის ხარისხის დეტალური აღწერა წყალსაცავის ზედა ბოლოში და წყალამღების ქვემოთ მდ.მტკვრის შესართავამდე	EBRD PR 6 IFC PS 6 მოწინავე გამოცდილება ასევე შესაძლო კუმულატიური	მომზადება: თანხის პირველ ჩარიცხვამდე განხორციელება: დინებაში ნებისმიერი სამუშაოს, მათ შორის კაშხლის მშენებლობის დაწყებამდე	<ul style="list-style-type: none"> <li>- დამფინანსებლებისთვის მონიტორინგის გეგმის გადაცემა</li> <li>- ანგარიში-რეზიუმე თევზებისა და წყლის ეკოსისტემების შესახებ</li> </ul>

ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა				
No.	საკითხი/ქმედება	მოთხოვნის საფუძველი	დასრულების თარიღი/შესრულების ვადა	წარმატებულობის საზომი
6.3	წყლის ეკოსისტემის მულტიტაქსონური მონიტორინგის პროგრამის შემუშავება და განხორციელება მდ.ფარავანში პროექტის შესრულებით გამოწვეული წყლის ორგანიზმების და წყლის ხარისხის შესაძლო ცვლილებების გასაზომად წყალსაცავის ზედა ბოლოდან მდინარე მტკვრის შესართავამდე.	ზემოქმედების შერბილების ნაწილი	გეგმა: სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებამდე განხორციელება: როგორც ამას მოითხოვს გეგმა მშენებლობის პერიოდში და ექსპლუატაციის 2 წლის განმავლობაში	- დამფინანსებლებისთვის მონიტორინგის გეგმის გადაცემა - ყოველწლიური ანგარიში თევზებისა და ეკოსისტემების ჯანმრთელობის შესახებ, წინა მონიტორინგის შემდეგ მომხდარი ცვლილებების ჩათვლით
6.4	თუ პროექტის გამო წყალამღებიდან ქვედმოთ დინებაში თევზების პოპულაცია შემცირდა ან ეკოსისტემის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესება დაფიქსირდა - შენუშავდება - მართვის ადაპტირების გზით - პოტენციური შერბილების და კომპენსაციის ზომები, მათ შორის ექსპლუატაციის რეჟიმის შესწორება		თუ მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა უარყოფითი სახის ცვლილებები ქვედა ბიეფში	- აღდგენის გეგმის შემუშავება და განხორციელება - თევზის პოპულაციებისა და ეკოსისტემების ჯანმრთელობის აღდგენა
6.5	თევზსავალის პროექტის განხილვის დავალების გაცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ წლის ნებისმიერ პერიოდში არ შეიზღუდოს თავზის დინების ქვემოთ და ზემოთ თავისუფალი მოძრაობა და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თევზის სიკვდილიანობის რისკი	EBRD PR 6 IFC PS 6 მოწინავე გამოცდილება	თანხის პირველ ჩარიცხვამდე	- სათანადო თევზსავალის მოწყობა თევზის ქვედა და ზედა დინებაში მოძრაობის უზრუნველსაყოფად
6.6	თევზის ტოფობის პერიოდებში კაშხლის მშენებლობისა და მდინარის კალაპოტში სხვა სამუშაოების წარმოების თავიდან აცილება		მდინარის კალაპოტში მშენებლობის მთელ პერიოდში	- თევზის ტოფობაზე უარყოფითი ზემოქმედების არ არსებობა
6.7	გადამცემი ხაზის დერეფანში მცენარეული საფარის სამართავად ჰერბიციდების გამოყენებლობა	მოწინავე გამოცდილება	ექსპლუატაციის მთელ პერიოდში	- მცენარეულობის მაქსიმალური მართვა
6.8	ახალი მიწის ათვისების დაწყებამდე ნიადაგის ზედა ფენის მოცილება და შენახვა	მოწინავე გამოცდილება	ახალი მიწის ათვისების დაწყებამდე	- ნიადაგის ზედა ფენა არ იკარგება

<b>ფარავნის ჰიდროენერგოგენერაციის და ელექტროგადამცემის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა</b>				
<i>No.</i>	<i>საკითხი/ქმედება</i>	<i>მოთხოვნის საფუძველი</i>	<i>დასრულების თარიღი/შესრულების ვადა</i>	<i>წარმატებულობის საზომი</i>
6.9	გადამცემი ხაზის დერეფნის გასწვრივ ფრინველების სიკვდილიანობის მონიტორინგი. გადაჭარბებული სიკვდილიანობის შემთხვევაში შემუშავდეს და განხორციელდეს ფრინველების დაცვის გეგმა.	EBRD PR 6 IFC PS 6 მოწინავე გამოცდილება	ექსპლუატაციის პირველი ორი წელი: თითოჯერ ყოველწლიური საგაზაფხულო და საშემოდგომო მიგრაციების სეზონებში. შემდგომ: სარეგლამენტო სამუშაოების დროს	მონიტორინგისა და ფრინველების სიკვდილიანობის მონაცემების ჩართვა ყოველწლიურ ანგარიშებში
<b>7. კულტურული მემკვიდრეობა</b>				
7.1	შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში გასატარებელი პროცედურების შემუშავება და განხორციელება. ბრიგადირის და მუშახელის ტრენინგს მის გამოყენებაში	EBRD PR8 IFC PS 8	ახალი მიწის ათვისების დაწყებამდე	დამფინანსებლებისთვის განხილვისა და დამტკიცების მიზნით მიწოდება
<b>8. გამოქვეყნება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა</b>				
8.1	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის (SEP) შეთანხმებული გეგმის შესრულება, მათ შორის (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, იმ ზემოქმედებათა შეთანხმებული გარემოსდაცვითი და სოციალური შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც ამ დაინტერესებულ მხარეებზე ზემოქმედების მოხდენა შაუპლიათ. შემოსული საჩივრების და ნათზე რეაგირების შესახებ ჩანაწერების წარმოება და შენახვა.	EBRD PR 10 IFC PS 1	მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთელ პერიოდში	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების დაკმაყოფილების ყოველწლიური ანგარიშის მიწოდება დამფინანსებლებისთვის